



**საქართველო**  
**სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**



4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243  
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211  
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com  
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 21

16 მარტი 2018 წელი

**სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად  
2018 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №22 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად 2018 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი

**სენაკის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად 2018 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	დაფინანსების წყარო
1. სენაკის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა	ადგილობრივი თვითმმართველობა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო	2018	
2. . სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და დამტკიცება	ადგილობრივი თვითმმართველობა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო	2018	
3. სენაკის მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა: ა) ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა სექტორში მომუშავე თანამშრომლებისათვის გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე; ბ) სოფლებში, ქალაქის სკოლებსა და დევენილთა კომპაქტურ დასახლებებში ვორქშოპების ჩატარება რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის თემაზე. გ) შშმ პირებისათვის ღონისძიებების გათვალისწინება.	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო	2018	
4. სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა.	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო	2018	

<p>5.სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, პრაქტიკის ერთმანეთში გაზიარება; საბჭოს წევრთა დატრენინგება მიმდინარე სიახლეების შესახებ;</p>	<p>სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>2018</p>	
<p>6. სენაკის მუნიციპალიტეტებში სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისათვის აღმზრდელთათვის, მშობელთათვის, და მაღალი კლასის მოსწავლეთათვის გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგ/ვორკშოპების/საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;</p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობა, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>2018</p>	
<p>7. გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შესახებ ადგილობრივი მნიშვნელობის პრესასა და ტელევიზიაში ცნობადობის გაზრდა.</p>	<p>სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>2018</p>	
<p>8. სენაკის მუნიციპალიტეტში გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის პრევენცია:  ა) კვლევის ჩატარება სენაკის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის სიტუაციის შესწავლის მიზნით;  ბ) ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული ღონისძიებები ახალგაზრდებისათვის — თემატური სპორტული შეჯიბრებები, ასფალტზე ხატვა, ხატვის კონკურსი სკოლებში, ლიტერატურულ მხატვრული კომპოზიციები, ფორუმ თეატრი;</p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>2018</p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი</p>
<p>9. ფსიქოლოგის უფასო კონსულტაციების დაგეგმვა; იურიდიული კონსულტაციის გაწევა; ვორკშოპები სოფლებში ოჯახში ძალადობის თემაზე;</p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>2018</p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი</p>
<p>10. 2018 წლის ბიუჯეტში გარკვეული თანხის გათვალისწინება სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის დასაფინანსებლად</p>			